ოქმი:**ო03.37203561**

თარიღი:**21/12/2020**

ოქმი № 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტოკომისიის სხდომის

2020 წელი, 18 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გ.ჩაგანავა - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ.ბერიძე, ალ.ღლონტი, გ.ჩავლეშვილი, მ.ბერიძე, ბ.თოიძე, ტ.აროშიძე, გ.ჩავლეშვილი, გ.მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: გ.ჩაგანავა

თანამომხსენებელი: პ.ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ გ.ჩაგანავამ მოკლედ ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე, ვრცლად კი კომისიის წევრებს ამ ცვლილებების შესახებ მოახსენა თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ძირითადი ცვლილებებია- საქართველოს მთავრობის N2630 განკარგულებით ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის 425205 ლარის დამატებით გამოყოფა, მუნიციპალური მომსახურების ცენტრის დამატებით დაფინანსება 200 ათასი ლარით და კურორტ გომისმთის განაშენიანების გენერალური გეგმის შესამუშავებლად ასიგნების - 100 ათასი ლარის გამოყოფა გაეროს განვითარების პროგრამის გრანტიდან. შემდეგ უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების პროექტი: “ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის

27 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ წარდგენილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გიორგი ჩაგანავა

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი